

მალესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:30006

მალესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

აქტიური მისამართი და ტელეფონი თბილისი, 0159, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი, 259 49 01

ვებგვერდი: www.agruni.edu.ge

ელ.ფოსტა: info@agruni.edu.ge


კონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა): ქარსაგა მარინა, 577 43 89 13, m.karchava@agruni.edu.ge

ამჟინური პროგრამის დასახელება	მიზანი	სწავლის შედეგი	კრედიტების რაოდ.	ინფორმაცია სამთავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
აგრარული მეცნიერებანი	<p>პროგრამის მიზანია - მომზადდეს აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებაზე, ასევე საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო ან პრაქტიკულ საქმიანობაზე, შეიძენს აგრარული სფეროს დისციპლინებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამის სპეციალიზაციებში თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის შრომით ხაზარზე. პროგრამა მოიცავს დარგებს აგრონომია, სასურსათო ტექნოლოგიები, სატყეო საქმე, ვეტერინარია, მეცხოველეობა. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული, სამაგისტრო ნაშრომის დამუშავება და დაცვა და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მიძღვრობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება - აქვს აგრარული სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, აგრარულ მეცნიერებებში, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; დასკვნის უნარი - შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასასაუბრებელი დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კომუნიკაციის უნარი - შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; სწავლის უნარი - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; ღირებულებები - შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	120	დამტკიცებულია სამთავროვანო საბჭოს მიერ 12.07.2012 წ. ოქმით #8



Handwritten signature and initials in black ink.

სამეცნიერო პროგრამის დასახელება	მიზანი	სწავლის შედეგი	კრედიტების რაოდენობა	ინფორმაცია სამეცნიერო საკანონმდებლო პროგრამის დასრულების შესახებ
აგრარობიოტეხნოლოგია	<p>პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა მცენარეთა ბიოლოგიისა და აგრარული ბიოტექნოლოგიის უახლესი მიღწევების, ცხოველთა რეპროდუქციის თანამედროვე საშუალებებისა და მიკრობული ბიოტექნოლოგიების შესახებ. მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი აგრობიოტექნოლოგიის დარგში. პროგრამა მოდულურზე დაყრდნობით, სტუდენტებს მისცემს ფუნდამენტურ ცოდნას ბიომეცნიერებების ისეთ დარგებში, როგორცაა გენომის შემსწავლელი მეცნიერება, მიკრობული ტექნოლოგია, გამოყენებითი ტოქსიკოლოგია, ბიოუსაფრთხოება, ბიომეცნიერებების ეთიკური, კომერციული და საკანონმდებლო პრინციპები.</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა აგრარული ბიოტექნოლოგიის მიდგომებისა და მისი სხვადასხვა სფეროში გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. აქვს ბიომეცნიერებების საკანონმდებლო, კომერციული და ეთიკური პრინციპების ცოდნა. კურსდამთავრებულს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება ბიოტექნოლოგიის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; აქვთ ბიოტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისა და შეფასების უნარი. კურსდამთავრებულს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა; ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით. კურსდამთავრებულს შეუძლია კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან. მას შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაგნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა; ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ბიოეთიკის პრინციპების გაგნობიერება და გაზიარება; აკადემიური პატიოსნების სტანდარტების აღიარება.</p>	120	დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 12.07.2012 წ. ოქმი #8
ინჟინერო ტექნოლოგია	<p>პროგრამის მიზანს წარმოადგენს მოზადდეს ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც იქნება ორიენტირებული როგორც დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებაზე, ასევე საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო ან პრაქტიკულ საქმიანობაზე, შეიძენს საინჟინრო დისციპლინების და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამის სპეციალიზაციებში თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა წარმართოს მრავალმხრივი, კომპლექსური საქმიანობა და იმუშაოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში. პროგრამა მოიცავს კონცენტრაციებს: სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები, ბიოსამედიცინო ინჟინერია, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, სახოფლო-სამეურნეო პიდრომელიორაცია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული, სამეცნიერო ნაშრომის დამუშავება და დაცვა და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გამოთვლისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასრულებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.</p>	<p>კურსდამთავრებული არის მყარი საბაზისი ცოდნითა და დროის შესატყვისი უნარებით აღჭურვილი, ადვილად შეუძლია დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტირება და ამ გარემოსთან ადაპტაცია. კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები: ცოდნა და გაგნობიერება – აქვს ინჟინერიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, საინჟინრო მეცნიერებებში, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; დასკვნის უნარი – შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; კომუნიკაციის უნარი – შეუძლია თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევითა გამოთვლისწინებით; სწავლის უნარი – შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაგნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე; ღირებულებები – შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p>	120	დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 12.07.2012 წ. ოქმი #8



სამაგისტრო პროგრამის დასახელება	მრავალი	სწავლის მეთოდი	კრედიტების რაოდ.	ინფორმაცია სამაგისტრო საკანონმდებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
<p>სამაგისტრო პროგრამის დასახელება</p> <p>სახუნებისმეტყველო მეცნიერებების დამატებითი სამაგისტრო პროგრამა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის მეცნიერებათა მაგისტრი, რომელიც იქნება ორიენტირებული როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საქმიანობაზე. სახუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტებში იმ აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების გამოხატულებაზე, რომელიც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ სამეცნიერო მუშაობის დოქტორანტურაში გაგრძელებისთვის და მეორე მხრივ, თანამედროვე შრომის მასშტაბზე წარმატებული კარიერისათვის.</p>	<p>სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოეყალიბება შემდეგი კომპეტენციები: ანალიზის და სინთეზის უნარი, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაგნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონის უნარი, სამეცნიერო კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი სახუნებისმეტყველო მეცნიერებების წინაშე არსებული პრობლემების ანალიზისათვის, უახლეს მიწვევებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. ბიოლოგიის და ქიმიის მიმართულებით კურსდამთავრებული შეისწავლის ლაბორატორიული მოწყობილობების და რეაგენტების გამოყენების წესებს; ეთოდიდება გეგური ინჟინერიისა და რეკონსტრუქციული დნმ ტექნოლოგიები და ნეირომეცნიერული კვლევების ისეთი ტექნიკა როგორცაა, ტვინის ელექტროენცეფალოგრაფია, მიკროელექტროდული ტექნიკა, კვლევის ფსიქოფიზიკური მეთოდები, მაგნიტურ რეზონანსული სპინირებით მიღებული თავის ტვინის სურათების დამუშავება და ანალიზი.</p> <p>ფიზიკის მიმართულებით კურსდამთავრებული მიიღებს ცოდნას თეორიული ფიზიკის სამი მიმართულებით: პლანკის ფიზიკა, ასტროფიზიკა და მაღალი ენერჯიების ფიზიკა. მას შეეძლება თანამედროვე ფიზიკის მეთოდების გამოყენებას ფიზიკის და მის მონათესავე დარგების წინაშე მდგარი ფუნდამენტური და გამოყენებითი ამოცანების გადასაჭრელად და ექნება უნარი სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, თუ სხვა დარგობრივი ლიტერატურის საშუალებით თვალყურის ადევნოს დარგის განვითარების ტენდენციებს, დაგეგმოს და წარმართოს ლაბორატორიული და კვლევითი ექსპერიმენტები.</p>	120	<p>დამტკიცებულია საყოველთაო საბჭოს გადაწყვეტილების მიერ 15-06/01-01, 15 სექტემბერი, 2014 წელი</p>

უბიცის შევსების თარიღი 08.02.2017.

ხელმოწერა:



რექტორი

